



ახალგაზრდა ამომრჩევლების საარჩევნო ცნობიერების და სამოქალაქო
კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

„ინფორმირებული ახალგაზრდობა ინკლუზიური არჩევნებისათვის ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში“

ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური
რესურსცენტრი“

პროექტის განხორციელების პერიოდი: 15 აპრილი-15 ივნისი, 2019 წ

პროექტის მიზანი


ხელი შეუწყოს ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული ახალგაზრდა ლიდერების ფართო რაოდენობრივ, ისევე როგორც ეფექტურ ჩართულობას ელექტორალურ და სამოქალაქო საზოგადოებრივ პროცესებში.

პროექტის განხორციელების არეალი

- ▶ ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სამიზნე ჯგუფი

პროექტის უშუალო ბენეფიციარები არიან სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული 40 ახალგაზრდა (20 თითოეული მუნიციპალიტეტიდან).



The background features abstract, overlapping green geometric shapes, primarily triangles and polygons, in various shades of green, creating a modern and dynamic visual effect.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

I. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი:

თარიღი	ადგილი	მიზნობრივი აუდიტორია	დამსწრეთა რ-ბა
30 აპრილი, 2019 წ.	ქ.ნინოწმინდა, ჯავახეთის ჯანსაღი საზოგადოების ოფისი (პუშკინის ქ. 49ა)	საინფორმაციო შეხვედრა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლიდან მოწვეულ ახალგაზრდებთან	5



I. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი:

თარიღი	ადგილი	მიზნობრივი აუდიტორია	დამსწრეთა რ-ბა
02 მაისი, 2019 წ.	ქ.ნინოწმინდა, ზ.ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების (ტერიანის ქ. 9) სკოლა	საინფორმაციო შეხვედრა სკოლის მსმენელებთან	6



I. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი:

თარიღი	ადგილი	მიზნობრივი აუდიტორია	დამსწრეთა რ-ბა
03 მაისი, 2019 წ.	ქ.ნინოწმინდა, ქალთა ოთახი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია (პუშკინის ქ. 43)	საინფორმაციო შეხვედრა ქალთა ოთახში	7

გადაცემის ლინკი:
https://www.youtube.com/watch?v=Is9UzCqMqcM&feature=youtu.be&fbclid=IwAR0drpxJXR8UXX_fobiESbeQV4D7YNG LZfQLDF96NLXuEgvHW Drg1-7ReWM



I. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი:

თარიღი	ადგილი	მიზნობრივი აუდიტორია	დამსწრეთა რ-ბა
03 მაისი, 2019 წ.	ქ.ახალქალაქი, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "საზოგადოება ცოდნა" (რუსთაველის ქ. 23)	საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებსა და პედაგოგებთან	18



I. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი:

თარიღი	ადგილი	მიზნობრივი აუდიტორია	დამსწრეთა რ-ბა
06 მაისი, 2019 წ.	ქ. ნინოწმინდა, რადიო „ნორი“ (თავისუფლების ქ. 46)	საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ ჟურნალისტებთან	13



I. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი:

თარიღი	ადგილი	მიზნობრივი აუდიტორია	დამსწრეთა რ-ბა
08 მაისი, 2019 წ.	ქ.ახალქალაქი, სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალი (აღმაშენებლის ქ. 119)	საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებსა და პედაგოგებთან	19



I. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი:

თარიღი	ადგილი	მიზნობრივი აუდიტორია	დამსწრეთა რ-ბა
08 მაისი, 2019 წ.	ქ.ახალქალაქი, ზრდასრულთა განათლების ცენტრი (სპანდარიანის ქ. 19)	საინფორმაციო შეხვედრა შერეულ მიზნობრივ ჯგუფთან: არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი მედია, ახალგაზრდები და სხვ.	15



I. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი:

თარიღი	ადგილი	მიზნობრივი აუდიტორია	დამსწრეთა რ-ბა
11 მაისი, 2019 წ.	ქ.ნინოწმინდა, ჯავახეთის ჯანსაღი საზოგადოების ოფისი (პუშკინის ქ. 49ა)	საინფორმაციო შეხვედრა შერეულ მიზნობრივ ჯგუფთან: პედაგოგები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები, ახალგაზრდები და სხვ.	18



II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება:

3 ივნისს სწავლების ცენტრის კონტრიბუციის სახით მოეწყო ვიზიტი ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომლის ფარგლებშიც მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები შეხვდნენ კომისიის თავმჯდომარეს, სეირან კიურელიანს და გაეცნენ საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის წესს.



II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება:

ქ.თბილისში ჩატარდა ორი სამდღიანი სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტიდან მოწვეული 40 მონაწილესთვის.

თითოეული ჯგუფის საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამა დაიწყო ორ ნაწილად: სატრენინგო ნაწილი და ვიზიტი შესაბამის უწყებებში. სატრენინგო ნაწილი მოიცავდა შემდეგ თემატურ მოდულებს:

- დღე I:**
- ტრენერთა ტრენინგი;
 - საქართველოს საკონსტიტუციო მოწყობა;
 - საკონსტიტუციო ცვლილებების ქრონოლოგია;
 - დემოკრატიული არჩევნების არსი და მნიშვნელობა.
- დღე II:**
- არჩევითი ორგანოები და მათი ფორმირების წესი;
 - ამომრჩევლებსა და მათ მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების პრინციპები და ფორმები;
 - სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმები;
 - საარჩევნო პროცესში რაოდენობრივი და თვისებრივი მონაწილეობის მნიშვნელობა, მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორები და შესაძლო სავალალო შედეგები;
 - საარჩევნო პროცესში ყველა მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა და თანაბარი შესაძლებლობების არსებობის აუცილებლობა;

- დღე III:**
- ვიზიტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სწავლების ცენტრში;
 - ვიზიტი და ექსკურსია საქართველოს პარლამენტში

II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება: ნინოწმინდის ჯგუფი 5-7 ივნისი, 2019 წ.



II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება: ახალქალაქის ჯგუფი - 7-9 ივნისი, 2019 წ.



II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამა: ვიზიტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სწავლების ცენტრში (7 ივნისი, 2019 წ.)



II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამა: ვიზიტი და ექსკურსია საქართველოს პარლამენტში (7 ივნისი, 2019 წ.)



პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები)

რაოდენობრივი შედეგები:

- ▶ ჩატარდა ორი, სამდღიანი სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამა, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული 40 ახალგაზრდისთვის.
- ▶ სწავლების ცენტრის კონტრიბუციის ფარგლებში, პროგრამის მონაწილეთათვის მოეწყო ვიზიტი ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიაში, ასევე შედგა ვიზიტები საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, სწავლების ცენტრსა და საქართველოს პარლამენტში.
- ▶ შემუშავდა და პროგრამის მონაწილეებს გადაეცათ მოკლევადიანი სასწავლო პროგრამის გეგმა და შესაბამისი დამხმარე მასალები, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისათვის მომავალში მსგავსი ხასიათის სატრენინგო პროგრამის რეალიზების მიზნით.

თვისებრივი შედეგები:

სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის მონაწილეებმა შეიძინეს ცოდნა შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

- ▶ დემოკრატიული არჩევნების არსი და მნიშვნელობა საერთო საზოგადოებრივი განვითარების კონტექსტში;
- ▶ არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში ამომრჩეველთა მონაწილეობის მნიშვნელობა და მისგან მომდინარე საზოგადოებრივი სიკეთე;
- ▶ საარჩევნო პროცესში ხარისხობრივი და რაოდენობრივი ჩართულობის მაღალი დონე, როგორც სოციალური სამართლიანობის რეალიზების უპირობო გარანტია;
- ▶ სავალალო შედეგი, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს ელექტორალურ პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დაბალმა ხარისხმა დემოკრატიული პროცესების დაყოვნების კუთხით, ისევე როგორც ადგილობრივ თემებში ღრმად ფესვგამდგარმა ნიჰილიზმმა და საარჩევნო პროცესებში მათი მონაწილეობის ინტერესის სიმწირემ;
- ▶ როგორ დაიძლიოს უმცირესობებში ფესვგადგმული ნიჰილიზმის შეგრძნება და გამოდინარე აღნიშნულიდან გაჩნდეს რწმენა, რომ უმცირესობათა აქტიურ სამოქალაქო-პოლიტიკურ და ელექტორალურ აქტიობას პოზიტიური შედეგი მოჰყვება პირადი სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით;
- ▶ საარჩევნო პროცესში მოწყვლადი ჯგუფების, განსხვავებული შეხედულებებისა და აზრის მქონე პირთა ჩართულობის აუცილებლობა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მქონე გარემოს ფორმირება, როგორც შესაძლო კონფლიქტის წარმოქმნის ერთ-ერთი მძლავრი პრევენციული ფაქტორი;
- ▶ აუცილებლობა იმასა, რომ საზოგადოებამ თავად განსაზღვროს საკუთარი მომავალი დემოკრატიული ინსტიტუტების, საარჩევნო ყუთების საშუალებით და ღია, სამართლიანი, გამჭვირვალე და კონკურენტული პოლიტიკური სისტემის მეშვეობით;
- ▶ საქართველოს საკონსტიტუციო მოწყობა; არჩევითი ორგანოების, მათ შორის პარლამენტისა და საკრებულოების ფორმირების წესი;
- ▶ ამომრჩეველსა და მათ მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების პრინციპები, ფორმები და მეთოდები.

თვისებრივი შედეგები:

- ▶ პროექტის ფარგლებში ორგანიზებული ვიზიტების მსვლელობისას, მონაწილეები გაეცნენ საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციონალურ მანდატს; ამომრჩევლებისათვის ხელმისაწვდომ სერვისებს; ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ამომრჩევლების ელექტორალური ჩართულობის ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, ასევე სამომავლოდ დაგეგმილი პროგრამებსა და აქტივობებს; ამომრჩეველთა უფლებებსა და მოვალეობებს; ხმის მისაცემად საჭირო დოკუმენტებს; საარჩევნო წესებსა და პროცედურებს; სარჩევნო სიების სახეობებს; დამკვირვებელთა როლს საარჩევნო პროცესში; ამომრჩევლებსა და საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებს შორის ანგარიშვალდებულების პრინციპებს, ფორმებსა და მეთოდებს.
- ▶ საერთო ჯამში, პროექტის რეალიზებამ ღირებული დახმარება გაუწია მიზნობრივ აუდიტორიას, რათა მათ მიერ პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა, მიგნებები და რეკომენდაციები ფართოდ გაითვალისწინონ სამოქალაქო, პოლიტიკურ და ელექტორალურ პროცესებში გააზრებული ჩართულობის მიზნებიდან გამომდინარე, ისევე როგორც უზრუნველყონ მიღებული ცოდნის ფართოდ გავრცელება ადგილობრივ თემებში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს შორის.

გამოწვევები / რეკომენდაციები

პროექტით გათვალისწინებული ყველა აქტივობა განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით. მცირე ცვლილება შეეხო საპროექტო მასალების თარგმნას. ტრენინგის მონაწილეთა თხოვნისა და რეგიონალური კოორდინატორის რჩევის საფუძველზე, სასწავლო მასალები სომხური ენის ნაცვლად ითარგმნა რუსულ ენაზე, რის თაობაზეც წინასწარ ეცნობა სწავლების ცენტრს.

მონაწილეთა დიდი ნაწილის შეფასებით, სატრენინგო თემები იყო თანაბრად საინტერესო, თუმცა გამოიკვეთა შემდეგი თემები, რომლებმაც მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს (ხუთი თემა პრიორიტეტის მიხედვით):

- ▶ საქართველოს საკონსტიტუციო მოწყობა, საკონსტიტუციო ცვლილებების ქრონოლოგია (82,5%);
- ▶ ტრენერთა ტრენინგი (67,5%);
- ▶ საარჩევნო პროცესში ყველა მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა და თანაბარი შესაძლებლობების არსებობის აუცილებლობა (45%);
- ▶ დემოკრატიული არჩევნების არსი და მნიშვნელობა (62,5%);
- ▶ ვიზიტები ცესკოში, სწავლების ცენტრა და პარლამენტში (52,5%).

გამოწვევები / რეკომენდაციები

რაც შეეხება, ნაკლებად საინტერესო ან სასარგებლო თემებს, მონაწილეთა დამოკიდებულებები შემდეგნაირად განაწილდა:

- ▶ ამომრჩევლებსა და მათ მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების პრინციპები და ფორმები; სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმები (35%);
- ▶ ტრენერთა ტრენინგი (32,5%);
- ▶ საარჩევნო პროცესში რაოდენობრივი და თვისებრივი მონაწილეობის მნიშვნელობა, მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორები და შესაძლო სავალალო შედეგები (25%);
- ▶ დემოკრატიული არჩევნების არსი და მნიშვნელობა (22,5%);
- ▶ არჩევითი ორგანოები და მათი ფორმირების წესი (22,5%).

გამოწვევები / რეკომენდაციები

მონაწილეთა რეკომენდაციებში გამოიკვეთა სურვილი, რომ მომავალში ტრენინგებზე ყურადღება ასევე დაეთმოს შემდეგ საკითხებს:

- ▶ სამოქალაქო ინტეგრაცია
- ▶ ადვოკატირება
- ▶ პროექტის დიზაინი და შედგენის ტექნიკა
- ▶ კონსტიტუციონალიზმის ისტორია
- ▶ პოლიტიკური ტექნოლოგიები
- ▶ მოხალისეობა
- ▶ ლიდერობა
- ▶ გენდერი და პოლიტიკა
- ▶ მასების ფსიქოლოგია

პროექტის განხორციელებისას მიღებული დახმარებები:

- ▶ ვიზიტი ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიაში
- ▶ ვიზიტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სწავლების ცენტრში:
- ▶ ვიზიტი და ექსკურსია საქართველოს პარლამენტში

დიდი მადლობა ყურადღებისთვის !